აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი ● №7 (№198) ● 29 ივნისი 2018 წელი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის- აკაკი წერეთლის სახელმწიფ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება № 01-04/34 ქ. ქუთაისი 29.06.2018 წ.**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგ ფაკულტეტებზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი კონკურსი (დანართი თან ერთვის).
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად საკონკურსო პირობები, კერძოდ, კონკურსანტის განცხადების ფორმა, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა, სარეგისტრაციო და საკონკურსო კომისიების მუშაობის პროცედურები, შერჩევის კრიტერიუმები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებით, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №111 (17/18) დადგენილებით (კონკურსანტებმა იხელმძღვანელონ აღნიშნული დადგენილებით და ამ ბრძანებით).
3. საკონკურსო დოკუმენტების (საბუთების) მიღება განხორციელდეს 2018 წლის 30 ივლისიდან 2018 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით. საკონკურსო დოკუმენტების (საბუთების) მიღება იწარმოებს ყოველდღიურად 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე (უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით) შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მეორე სართული. ოთახი № 1211.
4. კონკურსი ჩატარდეს 2018 წლის 15 აგვისტოდან 2018 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით (მათ შორის, 22 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით - გასაუბრება). გასაუბრება ჩატარდება. უნივერსიტეტის I, II ,III და IV კორპუსებში.
5. სააპელაციო განცხადებების მიღება იწარმოებს 2018 წლის 25 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პირველი კორპუსი, მეორე სართული. ოთახი № 1211.

6. ამ ბრძანებით განსაზღვრულ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსით შერჩეულ პირებთან გაფორმდეს ვადიანი ხელშეკრულებები. კერძოდ:

ა) პროფესორი - 6 წლის ვადით - 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 1 სექტემბრამდე;

ბ) ასისტენტ-პროფესორი - 4 წლის ვადით - 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2022 წლის 1 სექტემბრამდე;

გ) საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე კონკურსში გამარჯვებულ ასისტენტ-პროფესორებთან ხელშეკრულება გაფორმდეს 2018 წლის 29 ოქტომბრიდან 2022 წლის 1 სექტემბრამდე.

დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსული ფილოლოგიის მიმართულების, რუსული ენის ქვემიმართულების ასისტენტ-პროფესორის 500 საათიანი დატვირთვის საშტატო ერთეულებზე კონკურსში გამარჯვებულ ასისტენტ-პროფესორთან ხელშეკრულება გაფორმდეს ვაკანსიების დანართში მითითებული თარიღებიდან 2022 წლის 1 სექტემბრამდე.

7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

8. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რედაქციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**უნივერსიტეტის რექტორი** **გიორგი ღავთაძე**

**დანართი**

**ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი**

**I. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**I.1. მიმართულება: ქართული ფილოლოგია**

I.1.1. ქვემიმართულება: **ქართული ლიტერატურა**

პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 4 ერთეული

I.1.2. ქვემიმართულება: **ქართული ენა**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

ბ) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

გ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

I.1.3. ქვემიმართულება: **ზოგადი ენათმეცნიერება**

პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**I.2. მიმართულება: ინგლისური ფილოლოგია**

I.2.1. ქვემიმართულება: **ინგლისური და ამერიკული ლიტერატურა**

პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

I.2.2. ქვემიმართულება - **ინგლისური ენა**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 10 ერთეული

**I.3. მიმართულება: გერმანული ფილოლოგია**
I.3.1. ქვემიმართულება: **გერმანული ლიტერატურა**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

I.3.2. ქვემიმართულება: **გერმანული ენა**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**I.4. მიმართულება: ფრანგული ფილოლოგია**
I.4.1. ქვემიმართულება: **ფრანგული ლიტერატურა**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

I.4.2. ქვემიმართულება: **ფრანგული ენა**
ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
**I.5. მიმართულება: კლასიკური ფილოლოგია**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

**I.6. მიმართულება: რუსული ფილოლოგია**
I.6.1. ქვემიმართულება: **რუსული ლიტერატურა**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

I.6.2. ქვემიმართულება: **რუსული ენა**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) –2 ერთეული (1.09.2018 წლიდან)
გ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) –1 ერთეული (29.10.2018 წლიდან)
გ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

**I.7. მიმართულება: აღმოსავლური ფილოლოგია**
I.7.1. ქვემიმართულება: **არაბული ფილოლოგია**
ა) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

I.7.2. ქვემიმართულება: **სპარსული ფილოლოგია**

პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

**I.8. მიმართულება: ისტორია**

I.8.1. ქვემიმართულება: **საქართველოს ისტორია**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

I.8.2. ქვემიმართულება: **მსოფლიო ისტორია**

პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

I.8.3. ქვემიმართულება: **არქეოლოგია**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

I.8.4. ქვემიმართულება: **ეთნოლოგია/ანთროპოლოგია**

ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

I.8.5. ქვემიმართულება: **ხელოვნებათმცოდნეობა (კინო, მუსიკა, სახვითი)**

ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

**I.9. მიმართულება: ფილოსოფია-ფსიქოლოგია**

I.9.1. ქვემიმართულება: **ფილოსოფია**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**II. ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**II.1. მიმართულება: ეკონომიკა**

II.1.1. ქვემიმართულება: **ეკონომიკა**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**II.2. მიმართულება: სამართალი**

II.2.1. ქვემიმართულება: **საჯარო სამართალი**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**II.3. მიმართულება: სოციალური მეცნიერებები**

II.3.1. ქვემიმართულება: **საერთაშორისო ურთიერთობები**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

II.3.2. ქვემიმართულება: **პოლიტოლოგია**

ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**II.4. მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება**

II.4.1. ქვემიმართულება: **ფინანსები**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

II.4.2. ქვემიმართულება: **აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

II.4.3. ქვემიმართულება: **მენეჯმენტი**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) –3 ერთეული

## III. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**III.1. მიმართულება: კომპიუტერული მეცნიერებები**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 3 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**III.2. მიმართულება: გეოგრაფია**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**III.3. მიმართულება: ფიზიკა**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 3 ერთეული

**III.4. მიმართულება: ბიოლოგია**
III.4.1. ქვემიმართულება: **ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, ზოოლოგია, ბიოფიზიკა**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**III.5. მიმართულება: მათემატიკა**
III.5.1. ქვემიმართულება: **მათემატიკური ანალიზი**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

III.5.2. ქვემიმართულება: **ალგებრა-გეომეტრია**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

III.5.3. ქვემიმართულება: **დიფერენციალური განტოლებები**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

## IV. პედაგოგიური ფაკულტეტი

**IV.1. მიმართულება: პედაგოგიკა**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

**IV.2. მიმართულება: სწავლების მეთოდიკა**
IV.2.1. ქვემიმართულება: **ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

IV.2.2. ქვემიმართულება: **მათემატიკის სწავლების მეთოდიკა**

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

## V. მედიცინის ფაკულტეტი

**V.1. მიმართულება: თერაპია**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 2 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
გ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 2 ერთეული

**V.2. მიმართულება: ქირურგია**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული
გ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 2 ერთეული

**V.3. მიმართულება: მეან-გინეკოლოგია**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**V.4. მიმართულება: პრეკლინიკური მედიცინა**
V.4.1. ქვემიმართულება: **კლინიკური ანატომია**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

V.4.2. ქვემიმართულება: **ფარმაკოლოგია**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**V.5. მიმართულება: სტომატოლოგია**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**V.6. მიმართულება: ინგლისურენოვანი სწავლება**
V.6.1. ქვემიმართულება - მეან-გინეკოლოგია
ა) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

V.6.2. ქვემიმართულება - ანატომია-ჰისტოლოგია-ბიოლოგია
ა) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

## VI. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

**VI.1. მიმართულება: ელექტრული ინჟინერია**
VI.1.1. ქვემიმართულება: **ელექტროტექნიკა, ელექტროენერგეტიკა**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**VI.2. მიმართულება: ტრანსპორტი (სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა)**
VI.2.1. ქვემიმართულება: **სატრანსპორტო ტექნოლოგიური სისტემების ორგანიზაცია და მართვა**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული
ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**VI.3. მიმართულება: მშენებლობა**
VI.3.1. ქვემიმართულება: **ნავთობ-გაზსადენების მშენებლობა**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**VI.4. მიმართულება: მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია**
VI.4.1. ქვემიმართულება: **კვების ინდუსტრიის ინჟინერია**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

VI.4.2. ქვემიმართულება: **მასალები და მათი დამუშავება**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

**VI.5. მიმართულება: საინჟინრო მექანიკა**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**VI.6. მიმართულება: ხარისხის მართვა და ტექნიკურ-ეკონომიკური ექსპერტიზა**
ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

## VII. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

**VII.1. მიმართულება: სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**VII.2. მიმართულება: ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

**VII.3. მიმართულება: ტექსტილის ტექნოლოგია**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

**VII.4. მიმართულება: საკვები პროდუქტების ტექნოლოგია**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

**VII.5. მიმართულება: ქიმიური და ფარმაცევტული ტექნოლოგია**
პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**VII.6. მიმართულება: გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები**
ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული
ბ) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 250 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 500 სთ.) – 1 ერთეული

## VIII. საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი

**VIII.1. მიმართულება: საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მოდელირება**

ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**VIII.2. მიმართულება: ბიზნესის მართვა**

ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

**VIII.3. მიმართულება: საზღვაო-სატრანსპორტო პროცესები**

პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 111 (17/18) ქუთაისი 2018 წლის 28 ივნისი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ**

„სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების 47-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, აკადემიური საბჭო ადგენს:

**1. დამტკიცდეს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმები (თან ერთვის).**
**2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.**

**უნივერსიტეტის რექტორი,**

**აკადემიური საბჭოსთავმჯდომარე** **გიორგიღავთაძე**

## კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან და ასისტენტებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

4. ასოცირებული პროფესორი - აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

5. ასისტენტ-პროფესორი - აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში.

6. ასისტენტი - აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;

7. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო- პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

8. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

9. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

10. ასიტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი. მედიცინის ფაკულტეტზე, კლინიკურ დისციპლინებში ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორანტი - შესაბამის კლინიკურ სპეციალობაში.

11. პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე პირის არჩევა ექვსი წლის ვადით.

12. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე პირის არჩევა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობებზე პირის არჩევა ხდება 4

წლის ვადით (აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით).

14. ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე საკონკურსო ადგილის (აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის) დამატებით მოთხოვნად განისაზღვროს ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციის დადასტურება (სერთიფიკატის წარმოდგენა/კონკურსანტთან გასაუბრება/ლექციის საჯაროდ წაკითხვა/ინგლისურ ენაზე აკადემიური საქმიანობის გამოცდილება (დანართი 6).

**მუხლი 2. კონკურსის წესი**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსში მონაწილე პირთათვის რაიმე სახის ასაკობრივი შეზღუდვა დაწესებული არ არის.

3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 და კონკურსის ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პრესაში, გამოიკრას საინფორმაციო დაფაზე, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სხვა ვებგვერდზე.

4. კონკურსს აცხადებს რექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა და წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა. ბრძანებაში მიეთითება კონკურსის პირობები, ვაკანტური აკადემიური თანამდებობები, კონკურსის ჩატარების თარიღი.

5. ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალს განსაზღვრავს რექტორი ფაკულტეტების დეკანების წარდგინებით, აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაანგარიშების წესის საფუძველზე და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით.

6. ინფორმაცია კონკურსის შესახებ ქვეყნდება გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ვებგვერდზე www.jobs.ge.

7. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების საფუძველზე ღებულობს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

8. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი უნივერსიტეტთან აფორმებს ხელშეკრულებას დანართი 1-ში მოცემული ფორმის მიხედვით.

**მუხლი 3. საკონკურსო კომისია**

1. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია.

2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით უნივერსიტეტის რექტორი წარუდგენს დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

3. საკონკურსო კომისიის წევრი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საკონკურსო თანამდებობის/თანამდებობების შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

4. საკონკურსო კომისიის წევრს უფლება არა აქვს იყოს აკადემიური თანამდებობის მაძიებელი (კონკურსანტი).

5. საკონკურსო აკადემიური თანამდებობების შესაბამისი მიმართულებების/ დარგების სიმრავლის მიხედვით საკონკურსო კომისია შეიძლება იყოს საფაკულტეტო ან აერთიანებდეს ერთი ან რამდენიმე მიმართულების/დარგის სპეციალისტებს.

**მუხლი 4. კონკურსისათვის წარმოსადგენი საბუთები**

1. პირის კომპეტენტურობის დადგენის მიზნით, **პროფესორისა** და **ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობების დაკავებისათვის კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება რექტორის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე;

დ) კონკურსანტის შევსებული ანკეტა (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად) (დანართი 4);

ე) სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;

ვ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის, სამეცნიერო- პედაგოგიური წოდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) სამეცნიერო შრომების სია (ბოლო 10 წელს გამოქვეყნებული შრომების დადასტურებით);

თ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული არაუმეტეს 5 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც კონკურსანტის შეხედულებით ყველაზე უკეთ წარმოაჩენენ მის კვლევით პოტენციალს;

ი) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

კ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 1 სახელმძღვანელო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც კონკურსანტის შეხედულებით ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის პროფესიულ გამოცდილებას;

ლ) კონკურსანტის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული სასწავლო კურსების სია - არანაკლებ 5 სასწავლო კურსი, მათ შორის 3 მაინც საბაკალავრო და 2 მაინც სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის შესაბამისი (შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის გათვალისწინებით) მ) წასაკითხად შემოთავაზებული არანაკლებ 3 სასწავლო კურსის სილაბუსი (დანართი 5) მათ შორის 1 მაინც საბაკალავრო და 1 მაინც სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის (შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის გათვალისწინებით);

ნ) ინფორმაცია აკადემიების, სამეცნიერო საზოგადოებების წევრობის შესახებ (დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით);

ო) ინფორმაცია შემდეგი აქტივობების შესახებ (დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით):

ო.ა. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

ო.ბ. ერთწლიანი საგანმანათლებლო, საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ო.გ. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ო.დ. სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობა (თანახელმძღვანელობა)

ექსპერტობა და რეცენზენტობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ო.ე. წაკითხული სასწავლო კურსები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ო.ვ. სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ო.ზ. გამოცემული სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წლის განმავლობაში);

ო.თ. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლისგანმავლობაში).

<u>**შენიშვნა:**</u> მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კლინიკურ დეპარტამენტებში/მიმართულებებში კონკურსანტმა დამატებით უნდაწარმოადგინოს:

ა) **პროფესორის თანამდებობაზე** - შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი და ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მისი კლინიკური აქტივობის ( გატარებული სტაციონალური და ამბულატორიული პაციენტების, კონსულტაციების, ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა და სხვა) დამადასტურებელი დოკუმენტი, სათანადოდ დადასტურებული კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

ბ) **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობაზე - შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისი კლინიკური აქტივობის (გატარებული სტაციონალური და ამბულატორიული პაციენტების, კონსულტაციების, ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა და სხვა) დამადასტურებელი დოკუმენტი, სათანადოდ დადასტურებული კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

გ) შესაბამისი კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო დაწესებულების ხელმძღვანელის სათანადოდ დადასტურებული წერილობითი თანხმობა მისდამი დაქვემდებარებულ ბაზაზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის წარმართვის შესახებ აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადით.

მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კლინიკურ დეპარტამენტებში/მიმართულებებში უპირატესობა მიენიჭება შესაბამის სპეციალობაში უფრო მაღალი კლინიკური აქტივობის მქონე პირს.

ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე საკონკურსო ადგილის (აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის) დამატებით მოთხოვნად განისაზღვროს ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციის დადასტურება (სერთიფიკატის წარმოდგენა/კონკურსანტთან გასაუბრება/ლექციის საჯაროდ წაკითხვა/ინგლისურ ენაზე აკადემიური საქმიანობის გამოცდილება).

სხვა თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

კონკურსში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის თავისუფლად მფლობელ პირს.

2. პირის კომპეტენტურობის დადგენის მიზნით **ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება რექტორის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე; დ) კონკურსანტის შევსებული ანკეტა;
ე) სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა; ვ) დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) სამეცნიერო შრომების სია (ბოლო 10 წელს გამოქვეყნებული შრომების დადასტურებით);

თ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული არაუმეტეს 5 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც კონკურსანტის შეხედულებით ყველაზე უკეთ წარმოაჩენენ მის კვლევით პოტენციალს

ი) 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 1 სახელმძღვანელო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც კონკურსანტის შეხედულებით ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის პედაგოგიურ გამოცდილებას;

კ) კონკურსანტის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული სასწავლო კურსების სია - არანაკლებ 3 სასწავლო კურსი;

ლ) წასაკითხად შემოთავაზებული არანაკლებ 2 სასწავლო კურსის სილაბუსი (დანართი 5);

მ) ინფორმაცია შემდეგი აქტივობების შესახებ:

მ.ა. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ბოლო 10 წლის);

მ.ბ. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის);

მ.გ. წაკითხული სასწავლო კურსები (ბოლო 5 წლის);
მ.დ. გამოცემული სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წლის);

მ.ე. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის).

<u>**შენიშვნა:**</u> მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კლინიკურ დეპარტამენტებში/მიმართულებებში კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ა) **ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე** - შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი და სულ მცირე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისი კლინიკური აქტივობის (გატარებული სტაციონალური და ამბულატორიული პაციენტების, კონსულტაციების, ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა და სხვა) დამადასტურებელი დოკუმენტი, სათანადოდ დადასტურებული კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

ბ) შესაბამისი კლინიკური, სარეაბილიტაციო ან კლინიკურ-სადიაგნოსტიკო დაწესებულების ხელმძღვანელის სათანადოდ დადასტურებული წერილობითი თანხმობა მისდამი დაქვემდებარებულ ბაზაზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური

პროცესის წარმართვის შესახებ აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადით.

მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კლინიკურ დეპარტამენტებში/მიმართულებებში უპირატესობა მიენიჭება შესაბამის სპეციალობაში უფრო მაღალი კლინიკური აქტივობის მქონე პირს.

ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე საკონკურსო ადგილის (აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის) დამატებით მოთხოვნად განისაზღვროს ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციის დადასტურება (სერთიფიკატის წარმოდგენა/კონკურსანტთან გასაუბრება/ლექციის საჯაროდ წაკითხვა/ინგლისურ ენაზე აკადემიური საქმიანობის გამოცდილება).

სხვა თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის თავისუფლად მფლობელ პირს.

2. პირის კომპეტენტურობის დადგენის მიზნით **ასისტენტის** აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება რექტორის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე;

დ) კონკურსანტის შევსებული ანკეტა;
ე) ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ;

ვ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული არაუმეტეს 3 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც კონკურსანტის შეხედულებით ყველაზე უკეთ წარმოაჩენენ მის კვლევით პოტენციალს

ზ) ინფორმაცია შემდეგი აქტივობების შესახებ:

თ.ა. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის);

თ.ბ. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის); თ.გ. წაკითხული სასწავლო კურსები (ბოლო 5 წლის);
თ.დ. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის).

მედიცინის ფაკულტეტზე, კლინიკურ დისციპლინებში ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორანტი - შესაბამის კლინიკურ სპეციალობაში.

3. კონკურსანტმა სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილების შესახებ ინფორმაციები უნდა წარმოადგინოს დანართი 2-ის მიხედვით.

## მუხლი 5. კონკურსანტისგანაცხადი

1. საკონკურსო განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას დანართი 3-ში მოცემული ფორმის მიხედვით.
2. საკონკურსო განცხადებაში აღინიშნება: განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ფაკულტეტის, მიმართულების/ქვემიმართულების

და აკადემიური თანამდებობის დასახელება. განცხადებით აგრეთვე დასტურდება, რომ კონკურსანტი იცნობს და ეთანხმება უნივერსიტეტის წესდებას, აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს და სახელშეკრულებო მოთხოვნებს.
3. კონკურსანტს განცხადებაში შეუძლია მიუთითოს თანხმობა კომისიის გადაწყვეტილების შემთხვევაში მისი კანდიდატურის (მის მიერ არჩეულ საკონკურსო მიმართულებაში/ქვემიმართულებაში) ერთი რანგით დაბალ აკადემიურ თანამდებობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილვის შესაძლებლობის შესახებ.

## მუხლი 6. სარეგისტრაციოკომისია

1. საკონკურსო საბუთების მიღებას, დამუშავებას და საკონკურსო კომისიისათვის წარდგენას უზრუნველყოფს სარეგისტრაციო კომისია.
2. სარეგისტრაციო კომისიის შემადგენლობას უნივერსიტეტის პერსონალიდან განსაზღვრავს რექტორი.
3. სარეგისტრაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს კონკურსანტი.

## მუხლი7. საკონკურსო კომისიისმუშაობის ზოგადი წესი და

## კონკურსანტთა შერჩევისკრიტერიუმები

1. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. პირველივე სხდომაზე საკონკურსო კომისია თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიას.

3. კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

4. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია სხდომაზე ატარებს ღია კენჭისყრას. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამისოქმებში.

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში: შექმნას სპეციალური საექსპერტო ჯგუფები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;

6. საკონკურსო კომისია იწვევს კონკურსანტებს გასაუბრებაზე.

7. კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსანტის მიერ საცდელი ლექციის ჩატარებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ერთი დღით ადრე მაინც, აცნობებს კონკურსანტს

8. საკონკურსო კომისია კონკურსანტის მონაცემებს აფასებს შემდეგი კატეგორიებისა და პარამეტრების მიხედვით:

**პირველი კატეგორია:** ფორმალური სამეცნიერო კვალიფიკაციისა და სამეცნიერო შრომების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

**პარამეტრები:**

1) აკადემიური ხარისხის შესაბამისობა

2) სამეცნიერო შრომების შესაბამისობა;

**მეორე კატეგორია:** კონკურსანტის გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან.

**პარამეტრები:**

1) სამუშაო სტაჟის შესაბამისობა

2) დაკავებული კადემიური და/ან სხვა თანამდებობის/თანამდებობების შესაბამისობა

3) სამეცნიერო-პედაგოგიური წოდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობა

4) კონკურსანტის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული კურსებისა და მათი სილაბუსების შესაბამისობა.

**მესამე კატეგორია:** სამეცნიერო კვლევა **პარამეტრები:**

1) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების რაოდენობრივი ანალიზი. მათ შორის ბოლო 5 წლის მანძილზე არაუმეტეს 5 სამეცნიერო ნაშრომის ხარისხობრივი შეფასება (პუბლიკაციები საერთაშორისო რეცენზირებად, იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში; პუბლიკაციები ეროვნულ სამეცნიერო გამოცემებში). უპირატესობით სარგებლობს უფრო მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული:

I. იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;

II. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal&Country Rank-ის მიერ;

III. რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; სამეცნიეროს ტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში;

IV. ქართველოლოგიური დარგების მიმართულების ა კადემიური პერსონალისთვის - ქართულ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი;

V. სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;

VI. სტატიები საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში;

2) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წელი)
უპირატესობით სარგებლობს:

I. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;
II. II. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar-ის მიერ;
III. III. ეროვნული ან საერთაშორისო კონფერენციის მასალები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე კლასიფიკაციის I და II ქვეპუნქტებს;
IV. სხვა კონფერენციის მასალები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე კლასიფიკაციის I, II და III. ქვეპუნქტებს;

3) დამატებითი სამეცნიერო აქტივობები (აკადემიების, სამეცნიერო საზოგადოებების წევრობა, სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა და სხვა)

4) სამეცნიერო მონოგრაფიები (ბოლო 5 წელი) უპირატესობით სარგებლობს:
I. მაღალრეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank-ის მიერ;
II. ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer - reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*;
III. საქართველოში გამოცემული მონოგრაფია, რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBN კოდი.

**მეოთხე კატეგორია:** სამეცნიერო საგრანტო პროექტები (ბოლო 10 წელი) **პარამეტრები:**

1) დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა;
2) დაფინანსებულ საერთაშორისო საგრანტო პროექტში მონაწილეობა;
3) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა/მენეჯერობა;
4) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტში მონაწილეობა;
5) აწსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა/მენეჯერობა;
6) აწსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის მონაწილეობა;
7) სხვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა/მონაწილეობა;
8) სხვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის მონაწილეობა;
9) დაუფინანსებელ საერთაშორისო/ეროვნულ გრანტში მონაწილეობა;
10) უცხოური სამეცნიერო სტიპენდია;

11) ეროვნული სამეცნიერო სტიპენდია

12) უცხოური ან ეროვნული სამეცნიერო ფონდის, უცხოური უმაღლესი სასწავლებლის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო მივლინება, აკადემიურ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, სტაჟირება, სერთიფიცირება და სხვა.

**მეხუთე კატეგორია:** სამეცნიერო კვლევის კონცეფცია **პარამეტრები:**

1) საკვლევი თემატიკის შეფასება
2) საკვლევი პრობლემის შეფასება
3) კომპეტენტურობა

**მეექვსე კატეგორია:** პედაგოგიური გამოცდილება **პარამეტრები:**

1) პედაგოგიური სტაჟი, დაკავებული აკადემიური/ადმინისტრაციული თანამდებობა/თანამდებობები, წაკითხული სალექციო კურსები (ბოლო 5 წელი)
2) გამოცემული სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წელი)
3) სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობა (თანახელმძღვანელობა), ექსპერტობა და რეცენზენტობა (ბოლო 5 წელი)
4) ერთწლიანი საგანმანათლებლო, საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობა (ბოლო 5 წელი)
5) პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობა (ბოლო 5 წელი)
6) კონკურსანტის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული კურსების, მათი სილაბუსებისა და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოს, სალექციო კურსების, მეთოდური მითითებების შეფასება.

**მეშვიდე კატეგორია:** კონკურსანტთან გასაუბრება **პარამეტრები:**

1) კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევების ფლობა, აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა;
2) კომისიის გადაწყვეტილებისა და კონკურსანტის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია გასაუბრების ვიდეო და/ან აუდიო ჩანაწერის განხორციელება.

9. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

10. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტთა შეფასებისას წინა პუნქტის მეხუთე კატეგორია მხედველობაში არ მიიღება.

11. საკონკურსო კომისია კონკურსანტის მონაცემებს თითოეული კატეგორიის მიხედვით აფასებს სისტემით: მაღალი, საშუალო, დაბალი.

12. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს რეკომენდაცია გაუწიოს **პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად, თუ მისი შეფასებები კატეგორიების მიხედვით ერთდროულად აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- მაღალი ერთერთში მაინც პირველ და მეორე კატეგორიებს შორის
- არანაკლებ საშუალო პირველ და მეორე კატეგორიებში
- მაღალი სამში მაინც მესამე-მეექვსე კატეგორიებს შორის
- არანაკლებ საშუალო მესამე, მეხუთე და მეექვსე კატეგორიებში
- არანაკლებ საშუალო მეშვიდე კატეგორიაში

13. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს რეკომენდაცია გაუწიოს **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად, თუ მისი შეფასებები კატეგორიების მიხედვით ერთდროულად აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- არანაკლებ საშუალო პირველ და მეორე კატეგორიებში
- არანაკლებ საშუალო მესამე, მეხუთე და მეექვსე კატეგორიებში
- მაღალი ერთ-ერთში მაინც მესამე-მეექვსე კატეგორიებს შორის
- არანაკლებ საშუალო მეშვიდეკატეგორიაში

14. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს რეკომენდაცია გაუწიოს **ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად, თუ მისი შეფასებები კატეგორიების მიხედვით ერთდროულად აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- საშუალო ერთერთში მაინც პირველ და მეორე კატეგორიებს შორის
- საშუალო ერთერთში მაინც მესამე, მეოთხე და მეექვსეკატეგორიებს შორის
- არანაკლებ საშუალო მეშვიდეკატეგორიაში

15. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტთა შეფასებისთვის დამატებით გამოიყენოს ქულობრივი სისტემა. ასეთ შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს რეკომენდაცია გაუწიოს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, თუ ის ამ მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებს შორის შესაბამისი პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან ერთად აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:
მისი ქულობრივი შეფასება შეადგენს მაქსიმალური შესაძლო შეფასების არანაკლებ 80% – პროფესორის თანამდებობის შემთხვევაში
- მისი ქულობრივი შეფასება შეადგენს მაქსიმალური შესაძლო შეფასების არანაკლებ 60% – ასოცირებული პროფესორის თანამდებობის შემთხვევაში
- მისი ქულობრივი შეფასება შეადგენს მაქსიმალური შესაძლო შეფასების არანაკლებ 40% – ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის შემთხვევაში.

## მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტისვებ-გვერდზე.

2. აპელაცია კონკურსის შედეგების შესახებ შეიძლება წარმოდგენილი იქნას კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში. სააპელაციო განცხადებებს იხილავს

სააპელაციო კომისია, რომელსაც რექტორის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიურისაბჭო.

3. სააპელაციო კომისიაში უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საკონკურსო თანამდებობის/თანამდებობების შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

4. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება არა აქვს იყოს აკადემიური თანამდებობის მაძიებელი (კონკურსანტი).

5. დაუშვებელია სააპელაციო კომისიის წევრი ამავე დროს იყოს საკონკურსო კომისიის წევრი.

6. სააპელაციო კომისია სააპელაციო განცხადებებს იხილავს მათი წარდგენის ვადის ამოწურვიდან სამი დღის ვადაში.

7. სააპელაციო განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს სარეგისტრაციო კომისიაში და უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) შესაბამისი საკონკურსო კომისიის დასახელება;

ბ) სააპელაციო განცხადების შემომტანი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

გ) განცხადების შემომტანი პირის სტატუსი;

დ) დარღვევის შინაარსი;

ე) განცხადების შემომტანი პირის მოთხოვნა;

ვ) განცხადების შემომტანი პირის ხელმოწერა და განცხადების შემოტანის თარიღი.

8. სააპელაციო განცხადების დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას სააპელაციო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ წესით განსაზღვრული პირობების დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია კონკურსის შედეგზე.

9. აპელაციების განხილვისა და კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ საკონკურსო, სააპელაციო და სარეგისტრაციო კომისიები წყვეტენ საქმიანობას.

დანართი 1

შრომითი ხელშეკრულება №

ქუთაისი

--------- ---------- 20.....წ.

ერთი მხრივ, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი რექტორის გიორგი ღავთაძის სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ, ---------- (შემდგომში- „დასაქმებული“) ხელმძღვანელობენ რა საქართველოს შრომის კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დებენ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამსაქმებელი იღებს სამუშაოზე, ხოლო დასაქმებული თანახმაა განახორციელოს შრომითი საქმიანობა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ----------

1.2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი რეგულირდება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, დამსაქმებლის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ასევე დამსაქმებელის შესაბამისი დებულებებით, ინსტრუქციებითა და სხვა ადმინისტრაციული აქტებით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. დასაქმებული ვალდებულია:

2.1.1. სასწავლო პროცესის წარმართვისას იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, დებულებებითა და ინსტრუქციებით;

2.1.2. დამსაქმებლის მიერ დადგენილი პერიოდულობით შეავსოს სასწავლო ინსქტრუციით განსაზღვრული სტუდენტის შეფასების ფორმები;

2.1.3. განახორციელოს სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა;

2.1.4. უზრუნველყოს დამსაქმებლის გადაწყვეტილებების შესრულება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დადგენილი საათობრივი დატვირთვის და შრომის საზღაურის ოდენობის ცვლილების შესახებ, თუ ასეთი გამოწვეულია დამსაქმებლის სტურუქტურული რეორგანიზაციით სასწავლო პროცესის, სტუდენტთა კონტიგენტის ცვლილებებით, ან/და სხვა ობიექტური გარემოებებით.

2.1.5. მხოლოდ დამსაქმებლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომისა და სხვა სოციალური გარანტიები საქართველოს კანონმდებლობის, დამსაქმებლის წესდების წესდების, შინაგანწესისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

2.2.2. დროულად გადაუხადოს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

3. შრომის ანაზღაურება

3.1. დამსაქმებელი დასაქმებულს შრომის საზღაურის სახით უხდის წლიური დატვირთვის ---------- საათის შესაბამის ხელფასს, ყოველთვიურად ---------- ლარის ოდენობით. ხელშეკრულების 2.1.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში წლიური საათობრივი დატვირთვის ცვლილებისას, დამსაქმებლის ბრძანების საფუძველზე, შესაძლებელია ცალხმრივად მოხდეს ყოველთვიური ხელფასის ცვლილება ამავე მუხლში მოყვანილი პროპორციის შესაბამისად, რაც არ საჭიროებს ცვლილებას წინამდებარე ხელშეკრულებაში.

3.2. დასაქმებულს დამსაქმებლის მიერ ხელფასიდან დაექვითება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სათანადო გადასახადი.

3.3. ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო თვის 3 (სამი) რიცხვისა.

3.4 მხარეები თანხმდებიან, რომ ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სამუშაოს სპეციფიკის, მოცულობის მიხედვით მხარეთა შეთანხმებით. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით და განისაზღვრება საათობრივად ლარებში. ხელფასის კონკრეტული ოდენობები განისაზღვრება მხარეთა დამატებითი შეთანხმებით. შეთანხმება

წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

3.5. შვებულება დასაქმებულს ეძლევა წლის განმავლობაში ერთხელ, საზაფხულო არდადეგების პერიოდში, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით. დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

3.6. დასაქმებულის სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსის, დამსაქმებლის შინაგანაწესისა და სასწავლო პროცესის მოთხოვნების/საჭიროების შესაბამისად. ყოველდღიურად სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება 09:00 საათიდან 18:00 საათამდე. შესვენების დროა: 13.00 საათიდან 14.00 საათამდე, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს სასწავლო პროცესიდან.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ----------

4.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ასევე კანონმდებლობით, დამსაქმებლის წესდებითა და შენაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამსაქმებლის ეთიკის კოდექსის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების ან/და ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

5. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

5.1. დასაქმებულის ბრალით დამსაქმებლისათვის ქონებრივი ზიანი მიყენების შემთხვევაში, მას ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურების სახით.

5.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება მოქმედი კანონდმებლობით.

5.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

6. მხარეთა რეკვიზიტები

დამსაქმებელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, თამარ მეფის ქ.№59

რექტორი

---------- (ხელმოწერა)

დასაქმებული

---

(სახელი, გვარი)

---

(მისამართი, ტელეფონი)

---

(პირადი ნომერი)

---------- (ხელმოწერა)

1. განცხადების ფორმა იხ. დანართი 3-ში.
2. კონკურსანტის ანკეტის ფორმა იხ. დანართი 4-ში.
3. სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელ ცნობად ჩაითვლება შრომის წიგნაკის ჩანაწერების ქსეროასლი (რეგისტრაციისას საჭიროა შრომის წიგნაკის წარმოდგენა).
4. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება შესაბამისი დიპლომის ქსეროასლი (რეგისტრაციისას საჭიროა დიპლომის წარმოდგენა); დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა.
5. სამეცნიერო ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ფორმებით: ჟურნალი, რომელშიც გამოქვეყნებულია ნაშრომი ან ჟურნალიდან ამოღებული ქსეროასლი.
6. სილაბუსი წარმოდგენილი უნდა იქნას დანართი 5-ში მითითებული წესით.
7. ინფორმაცია აკადემიების, სამეცნიერო საზოგადოებების წევრობის შესახებ დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი მოწმობის ქსეროასლებით (რეგისტრაციისას საჭიროა მოწმობის წარმოდგენა).
8. სამეცნიერო შრომების სიის დასადასტურებლად, რეგისტრაციისას წარმოდგენილი უნდა იქნეს შრომები.
9. ინფორმაცია საგრანტო პროექტებში მონაწილეობის შესახებ დადასტურებული უნდა იქნეს სამეცნიერო ფონდის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.
10. ერთწლიანი საგანმანათლებლო, საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელობის, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობის (თანახელმძღვანელობის), ექსპერტობისა და რეცენზენტობის, წაკითხული სალექციო კურსების შესახებ ინფორმაციის დასადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის მიერ გაცემული ცნობა.
11. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის დასადასტურებლად, რეგისტრაციისას წარმოდგენილი უნდა იქნეს კონფერენციის მასალები.
12. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის დასადასტურებლად, რეგისტრაციისას წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი მასალები და სერტიფიკატები.
13. სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრობის შესახებ ინფორმაციის დასადასტურებლად, რეგისტრაციისას წარმოდგენილი უნდა იქნეს ჟურნალის რომელიმე ნომრის ეგზემპლარი.
14. გამოცემული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაციის დასადასტურებლად, რეგისტრაციისას წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმძღვანელოების ეგზემპლარები.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორს

მოქალაქე _____

(პირადი № _____

მისამართი: _____,

ტელ: _____)

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

გავეცანი აწსუ რექტორის ბრძანებას აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ და მსურს მივიღო მონაწილეობა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის _____ ფაკულტეტის _____ მიმართულებით, ქვემიმართულება „_____“ _____ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ამასთან ვადასტურებ, რომ გავეცანი შესაბამის აქტებს და თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო კონკურსში აწსუ წესდებით, შერჩევის კრიტერიუმებით და სახელშეკრულებო მოთხოვნებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

ხელმოწერა: ----------

---

/თარიღი/

რეგისტრირებულია: _____ _____

თარიღი № სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით

მიიღო: _____ _____

სახელი, გვარი ხელმოწერა

სურათის
ადგილი

# კონკურსანტის ანკეტა

**1. პერსონალური მონაცემები**

| | | | |
|---|---|---|---|
| გვარი: | | სახელი: | |
| მამის სახელი: | | დაბადების თარიღი: | |
| მისამართი: | | | |
| ბინის ტელეფონი: | | მობილური ტელეფონი: | |
| ელ.ფოსტა: | | | |

**2. საკონკურსო თანამდებობა**

| | |
|---|---|
| აკადემიური თანამდებობა: | |
| ფაკულტეტი: | |
| მიმართულება: | |
| ქვემიმართულება: | |

**3. განათლება**

| | |
|---|---|
| უმაღლესი, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა (სასწავლებლის დასდახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა, ჩარიცხვისა და დამთავრების წლები) | |
| დოქტორის აკადემიური ხარისხი<br><br>სპეციალობა<br><br>მინიჭების წელი | |
| დოქტორანტურა (სასწავლებლის დასახელება, ფაკულტეტი, სადოქტორო პროგრამის დასახელება, ჩარიცხვის წელი) | ავსებს მხოლოდ დოქტორანტი |

**4. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა**
**აკადემიური თანამდებობები**

| წლები | დაწესებულების დასახელება, თანამდებობა |
|---|---|
| | |
| | |
| | |

მეცნიერ-თანამშრომლისთანამდებობები

| წლები | დაწესებულების დასახელება, თანამდებობა |
|---|---|
| | |

ადმინისტრაციულითანამდებობები

| წლები | დაწესებულების დასახელება, თანამდებობა |
|---|---|
| | |
| | |

სამეცნიერო შრომების სია

| № | ავტორი/ავტორები, სტატიის დასახელება, სამეცნიერო ჟურნალის დასახელება, ტომი, სერია, №. წელი, გვერდები |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

საგრანტოპროექტებშიმონაწილეობა

| წლები | სამეცნიერო ფონდი, პროექტის დასახელება და № | სტატუსი პროექტში |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

სამეცნიეროკონფერენციებშიმონაწილეობა

| წელი | კონფერენციის დასახელება და მოხსენების სათაური |
|---|---|
| | |
| | |

აკადემიების, სამეცნიეროსაზოგადოებებისწევრობა

| წლები | აკადემია, სამეცნიერო საზოგადოება |
|---|---|
| | |
| | |

ერთწლიანისაგანამანთლებლო, საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტროდასადოქტოროპროგრამებისხელმძღვანელობა

| წლები | პროგრამის დასახელება |
|---|---|
| | |
| | |
| | |

სადოქტოროდისერტაციებისხელმძღვანელობა (თანახელმძღვანელობა), ექსპერტობადარეცენზენტობა

| დისერტანტი | თემა | გრადაცია |
|---|---|---|
| | | |
| | | |

**სამეცნიეროჟურნალისრედკოლეგიისწევრობა**

| წლები | სამეცნიერო ჟურნალის დასახელება |
|---|---|
| | |
| | |
| | |

**კვალიფიკაციისასამაღლებელკურსებში, სემინარებში, ტრენინგებშიმონაწილეობა**

| წელი | გრადაცია |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |

**გამოცემულისახელმძღვანელოებიდამონოგრაფიები**

| დასახელება | გამომცემლობა | წელი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

**ბოლო 5 წლისგანმავლობაშიწაკითხულისასწავლოკურსებისსია**

| სასწავლო კურსები | წლები |
|---|---|
| პროფესიული განათლება | |
| | |
| | |
| | |
| ბაკალავრიატი | |
| | |
| | |
| | |
| ერთსაფეხურიანი | |
| | |
| | |
| მაგისტრატურა | |
| | |
| | |
| დოქტორანტურა | წლები |
| | |
| | |

**5. სასწავლოკურსები, რომელთაგამღოლაცშეუძლიაკონკურსანტს**

| სწავლების საფეხური | საგანმანათლებლო | სასწავლო კურსები |
|---|---|---|
| პროფესიული უმაღლესი განათლება | | |
| | | |
| | | |
| | | |
| ბაკალავრიატი | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| ერთსაფეხურიანი | | |
| | | |
| | | |
| | | |
| მაგისტრატურა | | |
| | | |
| | | |
| | | |
| დოქტორანტურა | | |
| | | |
| | | |

**6. სხვააქტივობები**

**ენების ცოდნა**

| უცხო ენა | თვითშეფასება - თავისუფლად, საშუალოდ, ლექსიკონის დახმარებით |
|---|---|
| | |
| | |

**კომპიუტერთანმუშაობისუნარი**

| კომპიუტერული პროგრამების ჩამონათვალი, რომლებსაც ფლობს კონკურსანტი |
|---|
| |
| |

**ოჯახურიმდგომარეობა**

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| აკადემიურთანამდებობაზეარჩევისშემთხვევაშიხართთუარათანახმა, რომაკრედიტაციისმიზნებისათვისჩაითვალოთაწსუ-საკადემიურიპერსონალისშემადგელობაში? | დიახ | |
| | არა | |

ჩასვით X

| გიკავიათთუარასხვარომელიმეაკრედიტებულუმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებაშიაკადემიური თანამდებობა (დადებითიპასუხისშემთხვევაშიშეავსეთქვემოთმოყვანილიცხრილი) | | |
|---|---|---|
| უსდ-ს დასახელება | თანამდებობა | არჩევის ვადები |
| | | |
| | | |

**სხვაინფორმაცია**

| |
|---|
| |

**კონკურსანტის ხელმოწერა:**

**თარიღი:**

# სილაბუსი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასწავლო კურსის/ მოდულის დასახელება | | | | | | |
| სასწავლო კურსის კოდი | | | | | | |
| სილაბუსის ავტორი/ავტორები (ლექტორი, ლექტორები, კურსის განმახორციელებლები) | | | | | | |
| ფაკულტეტი,დეპარტამენტი | | | | | | |
| საგანმანათლებლო პროგრამა | | | | | | |
| სემესტრი | | | | | | |
| სასწავლო კურსის სტატუსი | | | | | | |
| სწავლების ენა | | | | | | |
| ECTS კრედიტების რაოდენობა: *საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად* | | | | | | |
| სასწავლო კურსის მიზანი | | | | | | |
| სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები | | | | | | |
| სასწავლო კურსის ფორმატი | | | | | | |
| სწავლის შედეგი, კომპეტენციების (ზოგადი და დარგობრივი) ჩამონათვალი | | | | | | |
| | **კომპეტენციები** | | | | | |
| | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის გაკეთების უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| | | | | | | |
| სწავლება/სწავლის მეთოდები | | | | | | |
| სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები | | | | | | |
| | შეფასების კომპონენტები | | | კომპონენტების წილი | | |
| | აქტივობა | | | | | |
| | შუალედური შეფასება | | | | | |
| | დასკვნითი გამოცდა | | | | | |
| | ჯამი | | | | | |
| | | | | | | |
| სავალდებულო ლიტერატურა: | **სავალდებულო ლიტერატურა:** | | | | | |
| დამატებითი ლიტერატურა | | | | | | |

**კურსის შინაარსი**

| კვირის № | მეცადინეობის სახე | თემის დასახელება | სთ-ს რაოდე-ნობა | ლიტერატურა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 2 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 3 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 4 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 5 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 6 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 7 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 8 | შუალედური შეფასება | | | |
| 9 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 10 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 11 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 12 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 13 | ლექცია | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პრაქტიკული | | | |
| 14 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 15 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 16 | ლექცია | | | |
| | პრაქტიკული | | | |
| 17-18 | **დასკვნითი გამოცდა** | | | |

სილაბუსის ავტორი:
თარიღი

დანართი 6

ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციის დადასტურება
სერთიფიკატების ჩამონათვალი

1. აწსუ-ს ენების შემსწავლელი კურსების მიერ გაცემული სერთიფიკატი (61-100 ქულა);
2. FCE 2015 წლამდე გაცემული კემბრიჯის სერთიფიკატი (FCE 60-100 ქულა);
3. FCE 2015 წლის შემდეგ გაცემული კემბრიჯის სერთიფიკატი (FCE 160-200 ქულა);
4. TOEFL 2015 წლის შემდეგ გაცემული წერითი გამოცდის სერთიფიკატი (567- და მეტი);
5. TOEFL 2015 წლის შემდეგ გაცემული კომპიუტერული გამოცდის სერთიფიკატი (227- და მეტი);
6. TOEFL 2015 წლის შემდეგ გაცემული ინტერნეტ გამოცდის სერთიფიკატი (87- და მეტი);
7. IELTS 2015 წლის შემდეგ გაცემული სერთიფიკატი (5.0 – 9.0).

მთავარი რედაქტორი გია ხოფერია
რედაქტორის მოადგილე ლელა ჩოგოვაძე
კორესპონდენტი თამარ გუმბერიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ნასარიძე
ჩვენი მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში
ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com